საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 1018-03
31/07/2024

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 22 ივლისის N 985-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის No134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მაკა ლაშხიას 2024 წლის 31 ივლისის N 13500-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 22 ივლისის N 985-03 ბრძანებაში, კერძოდ ბრძანების მე-5, მე-6, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტებიდან ამოღებულ იქნას სამაგისტრო პროგრამა: „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„5. „ინგლისური ენის ტესტირება B2 კომპეტენციის დასადგენად პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ ჩატარდეს 2024 წლის 2 სექტემბერს, ხოლო გერმანული ენის ტესტირება B2 კომპეტენციის დასადგენად პროგრამაზე „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ ჩატარდეს 2024 წლის 2 სექტემბერს.“

„6. პროგრამების „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“ და „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ ინგლისური ენის გამოცდაზე მიღებული შეფასებები და პროგრამის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ გერმანული ენის გამოცდაზე მიღებული შეფასებები, საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე არაუგვიანეს 2024 წლის 3 სექტემბრის 20:00 საათისა.“

„7. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ინგლისური ენის ტესტირების შედეგების შესახებ პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ და გერმანული ენის ტესტირების შედეგების შესახებ პროგრამაზე „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ უნდა გააგზავნოს 2024 წლის 3 სექტემბრის 20:00 საათიდან 4 სექტემბრის 15:00 საათამდე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: graduateschool@iliauni.edu.ge“

„9. პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „თანამედროვე

საქართველოს ისტორია“ და „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდების შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის გაგრძელებას შეძლებენ მხოლოდ უცხო ენის გამოცდაში ზღვარგადალახული კანდიდატები.“

„10. პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ და „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ უცხო ენის გამოცდაში ზღვარგადალახული კანდიდატებისთვის შიდასაუნივერსიტეტო დარგობრივი გამოცდა ჩატარდეს 2024 წლის 6 სექტემბრიდან 9 სექტემბრის 15:00 საათამდე. დეტალური ინფორმაცია კანდიდატთა სიების, გამოცდების ზუსტი თარიღებისა და საგამოცდო აუდიტორიების მითითებით განთავსდეს არაუგვიანეს 5 სექტემბრის 18:00 საათისა.“

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

ნინო მატარაძე

დეკანი